დანართი №9

2021 წლის 9 დეკემბერს გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
ე.ტ.№132-21 ხელშეკრულებაზე (NAT210019572)

ერთი მხრივ, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - **საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი**, წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის მოადგილის, **სალომე წურწუმიას** სახით (შემდგომში - შემსყიდველი) და მეორე მხრივ, **შპს „იბერი“,** წარმოდგენილი მისი დირექტორის, **ნიკოლოზ ჩახვაშვილის** სახით (შემდგომში - მიმწოდებელი), შემსყიდველის შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფის – აღმოსავლეთ საქართველოში სახელმწიფო ბიუჯეტით დაფინანსებული პროექტების მართვის სამსახურის 2023 წლის 13 დეკემბრის №16559-2 მოხსენებითი ბარათისა და 2021 წლის 9 დეკემბერს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ე.ტ.№132-21 ხელშეკრულების მე-19 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, ვთანხმდებით შემდეგზე:

1. შევიდეს ცვლილება შემსყიდველს და მიმწოდებელს შორის 2021 წლის 9 დეკემბერს გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ე.ტ№132-21 ხელშეკრულებაში (შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის (შ-37) სადახლო - წოფი - ახქერფის (სომხეთის რესპუბლიკის საზღვარი) საავტომობილო გზის კმ9-კმ18 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები) (შემდგომში - ხელშეკრულება) და ხელშეკრულების მოქმედების ვადა გაგრძელდეს 2024 წლის 30 აპრილის ჩათვლით.
2. მიმწოდებელი ვალდებულია, 2023 წლის 29 დეკემბრამდე წარუდგინოს შემსყიდველს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის უპირობო საბანკო გარანტია, რომელიც უნდა მოქმედებდეს 2024 წლის 30 მაისის ჩათვლით. საბანკო გარანტიის წარუდგენლობის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია, აამოქმედოს არსებული უპირობო საბანკო გარანტია სრულად და ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.
3. ზემოაღნიშნული ცვლილებები იგულისხმება ხელშეკრულების ყველა იმ ნაწილში, სადაც მითითებულია ხელშეკრულების მოქმედების ვადა.
4. წინამდებარე დანართი წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და განიხილება მის სხვა პირობებთან ერთად. ხელშეკრულების ყველა სხვა მუხლი და პირობა რჩება უცვლელი.
5. დანართი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისთანავე და მოქმედებს ხელშეკრულების მოქმედების ვადით.
6. დანართი შედგენილია ქართულ ენაზე ელექტრონული ფორმით და მისი ელექტრონული ვერსია წარმოადგენს დოკუმენტის დედანს.
7. დანართი შედგენილია ქ. თბილისში, 2023 წლის 18 დეკემბერს და ხელმოწერილია ელექტრონულად მხარეთა მიერ.

შემსყიდველი **დეპარტამენტის** **თავმჯდომარის მოადგილე** **სალომე წურწუმია**	**მიმწოდებელი** **შპს „იბერი“** **დირექტორი** **ნიკოლოზ ჩახვაშვილი**

Salome Tsurtsumia
Digitally signed by Salome Tsurtsumia
Date: 2023.12.19 14:40:18 +04'00'

Nikoloz Chakhvashvili 01008023993
Digitally signed by Nikoloz Chakhvashvili
Date: 2023.12.19 12:58:33